შპს მერკადო

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს მერკადო

შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------7
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------8

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება----------9
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება----------10

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება----------11
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----------12

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------13
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება----------14

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფის აღწერა.....15
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 16
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....23
4. ფული და ფულის ექვივალენტები 25
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....25
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები 26
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....26
8. საწესდებო კაპიტალი.....27
9. ძირითადი საშუალებები 28
10. მიღებული სესხები.....30
11. საგადასახადო ვალდებულება 31
12. შემოსავალი რეალიზაციიდან.....31
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....32
14. მიწოდების ხარჯები.....32
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 33
16. პირობითი ვალდებულებები 34
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 34
18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....35
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 35

მმართველობის ანგარიშგება 36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მერკადოს მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითიმოსაზრება

ჩავატარეთ შპს მერკადოს (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული დ აინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევ ეფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს (იგივეა კომპანიისთვის) არ ჩაუტარებია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაცია. ჯგუფის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობას.ა და მდგომარეობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეს მარაგები ზემოთმოცემული თარიღებისთვის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 472,131 (ინდივიდუალურში 243,942 ლარი) და 427,361 (ინდივიდუალურში 395,212 ლარი) ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფს (იგივეა კომპანიისთვის) არ ჩაუტარებია 2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ჯგუფის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (საბალნსო ღირებულებით - 7,817,517 ლარი 2023 წელი და 8,898,897 ლარი 2022 წელი) არ საჭიროებს ინვენტარიზაციის ჩატარებას, ვინაიდან წარმოადგენს 1 შენობის „ბაზარი ორბელიანზე“ კეთილმოწყობას, სადაც ჯგუფი (კომპანია) ახორციელებს საკუთარ საქმიანობს.

განმარტებითი შენიშვნა 9-ში მოცემულ დანარჩენ ძირითად საშუალებებზე, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში ძირითადი საშუალებების რაოდენობასა და მდგომარეობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეს ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემპრისათვის ასახულია შესაბამისად 2,447,873 ლარი კონსოლიდორებულში და 2,396,555 ლარი ინდივიდუალურში (2012: 3,348,854 ლარის ღირებულებით როგორც ჯგუფისთვის ისე კომპანიისთვის).

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფი (იგივეა კომპანიისთვის) 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ აწარმოებდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვასა და დადოკუმენტირებას, შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, ასევე

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული დ აინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვა ნიგარემოებები

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი და მისი მოკლევადიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან აქტივებს. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიისა და ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან

ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის **(შემდგომში „კანონი“)** მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო

პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.
თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.
ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:
•მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
•კომპანიისა და ჯგუფის მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება
აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თანერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge
აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ირმა გოგალაძე სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-42991

შპს „IG GROUP“ ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-412837

მისამართი: თბილისი, ბელიაშვილის ქ. 145. 25.09.2024

პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.
თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პიროზითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.
ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:
•მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
•კომპანიისა და ჯგუფის მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება
აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თანერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge
აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ირმა გოგალაძე სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-42991

შპს „IG GROUP" ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-412837

მისამართი: თბილისი, ზელიაშვილის ქ. 145.

25.09.2024

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	31 დეკ. 2023	31დეკ.2022
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	165 301	39,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	910 785	562,917
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	472 131	427,361
სულ მიმდინარე აქტივები		**1 548 217**	**1,029,834**
ძირითადი საშუალებები	9	10 265 391	12,247,751
არამატერიალური აქტივები		28 679	17,918
სულ გრძელვადიანი აქტივები		**10 294 070**	**12,265,669**
სულ აქტივები		**11 842 287**	**13,295,503**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1 522 989	1,623,360
მოკლევადიანი სესხები	10	874 500	960,100
საგადასახადო ვალდებულება	11	192 294	245,747
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 589 783**	**2,829,207**
გრძელვადიანი სესხები	10	7 200 820	8,039,900
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**7 200 820**	**8,039,900**
საწესდებო კაპიტალი	8	16 018 246	13,579,656
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(13 966 562)	(11,153,260)
სულ კაპიტალი		**2 051 684**	**2,426,396**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**11 842 287**	**13,295,503**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 7_35 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობისგან დამტკიცებულია 2024 წლის 25სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____	_____
ქეთევანბოკუჩავა	ქეთევან ჭანკვეტაძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
25.09.2024	25.09.2024
თბილისი	თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	31 დეკ. 2023	31დეკ.2022
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	165 301	39,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	910 785	562,917
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	472 131	427,361
სულ მიმდინარე აქტივები		**1 548 217**	**1,029,834**
ძირითადი საშუალებები	9	10 265 391	12,247,751
არამატერიალური აქტივები		28 679	17,918
სულ გრძელვადიანი აქტივები		**10 294 070**	**12,265,669**
სულ აქტივები		**11 842 287**	**13,295,503**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1 522 989	1,623,360
მოკლევადიანი სესხები	10	874 500	960,100
საგადასახადო ვალდებულება	11	192 294	245,747
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 589 783**	**2,829,207**
გრძელვადიანი სესხები	10	7 200 820	8,039,900
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**7 200 820**	**8,039,900**
საწესდებო კაპიტალი	8	16 018 246	13,579,656
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(13 966 562)	(11,153,260)
სულ კაპიტალი		**2 051 684**	**2,426,396**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**11 842 287**	**13,295,503**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 7_35 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობისგან დამტკიცებულია 2024 წლის 25სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ქეთევანბოკუჩავა
დირექტორი
25.09.2024
თბილისი

ქეთევან ჭანკვეტაძე
მთავარი ბუღალტერი
25.09.2024
თბილისი

ინდივიდუალურიფინანსურიმდგომარეობისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	შენიშვნა	31 დეკ. 2023	31დეკ.2022
აქტივები			
ფულიდაფულისექვივალენტები	4	90 640	28,273
სავაჭროდასხვამოთხოვნები	5	1 409 230	598,635
სასაქონლომატერიალურიმარაგები	6	243 942	395,212
სულმიმდინარეაქტივები		**1 743 812**	**1,022,120**
ძირითადისაშუალებები	9	10 214 072	12,247,751
არამატერიალურიაქტივები		28 679	17,918
ინვესტიციებიშვილობილკომპანიებში		3 500	2,500
სულგრძელვადიანიაქტივები		**10 246 251**	**12,268,169**
სულაქტივები		**11 990 063**	**13,290,289**
სავაჭროდასხვავალდებულებები	7	1 197 017	1,614,537
მოკლევადიანისესხები	10	932 485	960,100
საგადასახადოვალდებულება	11	125 516	250,751
სულმიმდინარევალდებულებები		**2 255 018**	**2,825,388**
გრძელვადიანისესხები	10	7 200 820	8,039,900
სულგრძელვადიანივალდებულებები		**7 200 820**	**8,039,900**
საწესდებოკაპიტალი	8	16 018 246	13,579,656
აკუმულირებულიმოგება/(ზარალი)		(13 484 021)	(11,154,655)
სულკაპიტალი		**2 534 225**	**2,425,001**
სულკაპიტალიდავალდებულებები		**11 990 063**	**13,290,289**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 7_35 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობისგან დამტკიცებულია 2024 წლის 25სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____	_____
ქეთევანბოკუჩავა	ქეთევანჭანკვეტაძე
დირექტორი	მთავარიბუღალტერი
25.09.2024	25.09.2024
თბილისი	თბილისი

ინდივიდუალურიფინანსურიმდგომარეობისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	შენიშვნა	31 დეკ. 2023	31დეკ.2022
აქტივები			
ფულიდაფულისექვივალენტები	4	90 640	28,273
სავაჭროდასხვამოთხოვნები	5	1 409 230	598,635
სასაქონლომატერიალურიმარაგები	6	243 942	395,212
სულმიმდინარეაქტივები		**1 743 812**	**1,022,120**
ძირითადისაშუალებები	9	10 214 072	12,247,751
არამატერიალურიაქტივები		28 679	17,918
ინვესტიციებიშვილობილკომპანიებში		3 500	2,500
სულგრძელვადიანიაქტივები		**10 246 251**	**12,268,169**
სულაქტივები		**11 990 063**	**13,290,289**
სავაჭროდასხვავალდებულებები	7	1 197 017	1,614,537
მოკლევადიანისესხები	10	932 485	960,100
საგადასახადოვალდებულება	11	125 516	250,751
სულმიმდინარევალდებულებები		**2 255 018**	**2,825,388**
გრძელვადიანისესხები	10	7 200 820	8,039,900
სულგრძელვადიანივალდებულებები		**7 200 820**	**8,039,900**
საწესდებოკაპიტალი	8	16 018 246	13,579,656
აკუმულირებულიმოგება/(ზარალი)		(13 484 021)	(11,154,655)
სულკაპიტალი		**2 534 225**	**2,425,001**
სულკაპიტალიდავალდებულებები		**11 990 063**	**13,290,289**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 7_35 გვერდის ჩათვლით, ხელმძღვანელობისგან დამტკიცებულია 2024 წლის 25სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ქეთევანბოკუჩავა
დირექტორი
25.09.2024
თბილისი

ქეთევანჭანკვეტაძე
მთავარიბუღალტერი
25.09.2024
თბილისი

კონსოლიდირებულისრულიშემოსავლისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	11 038 649	7,832,145
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(2 555 282)	(2,443,712)
საერთო მოგება		**8 483 367**	**5,388,433**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6 756 980)	(7,239,700)
მიწოდების ხარჯები	14	(3 976 220)	(4,298,658)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(2 249 833)**	**(6,149,925)**
საპროცენტო ხარჯები	10	(383 086)	(222,857)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		(142 511)	22,061
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(2 775 430)**	**(6,350,721)**
მოგების გადასახადი		(37 872)	(13,480)
წმინდა მოგება/(ზარალი)		**(2 813 302)**	**(6,364,201)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(2 813 302)**	**(6,364,201)**

ინდივიდუალურისრულიშემოსავლისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	6 758 726	7,859,169
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(819 537)	(2,476,213)
საერთო მოგება		**5 939 189**	**5,382,956**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4 061 535)	(7,236,975)
მიწოდების ხარჯები	14	(3 677 581)	(4,297,274)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(1 799 927)**	**(6,151,293)**
საპროცენტო ხარჯები	10	(378 860)	(222,857)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		(146 953)	22,017
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(2 325 740)**	**(6,352,133)**
მოგების გადასახადი		(3 626)	(13,463)
წმინდა მოგება/(ზარალი)		**(2 329 366)**	**(6,365,596)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(2 329 366)**	**(6,365,596)**

კონსოლიდირებულისაკუთარიკაპიტალისცვლილებებისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
(ციფრებიცხრილებშიმოცემულიალარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**10,346,697.00**	**(4,789,059)**	**5,557,638**
წლის წმინდა ზარალი	-	(6,364,201)	(6,364,201)
კაპიტალის გაზრდა	3,232,959	-	3,232,959
კაპიტალის შემცირება			-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**13,579,656.00**	**(11,153,260)**	**2,426,396**
წლის წმინდა ზარალი	-	(2 813 302)	(2 813 302)
კაპიტალის გაზრდა	2 438 590	-	2 438 590
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	**16 018 246**	**(13 966 562)**	**2 051 684**

ინდივიდუალურისაკუთარიკაპიტალისცვლილებებისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
(ციფრებიცხრილებშიმოცემულიალარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**10,346,697.00**	**(4,789,059)**	**5,557,638**
წლის წმინდა ზარალი	-	(6,365,596)	(6,365,596)
კაპიტალის გაზრდა	3,232,959	-	3,232,959
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**13,579,656.00**	**(11,154,655)**	**2,425,001**
წლის წმინდა ზარალი	-	(2 329 366)	(2 329 366)
კაპიტალის გაზრდა	2 438 590	-	2 438 590
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	**16 018 246**	**(13 484 021)**	**2 534 225**

კონსოლიდირებულიფულადინაკადებისანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(2 775 430)	(6,350,738)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2 043 270	1,909,329
მოთხოვნების გაუფასურება	981	232,499
მარაგების გაუფასურება	21 092	14,218
ცვლილება ანარიცხებში	-	187,765
ფინანსური ხარჯები	383 086	222,857
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(5 202)	(15,120)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(332 203)**	**(3,799,190)**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვლილება მარაგებში	(65 862)	1,502,695
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(348 849)	(407,920)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(100 371)	775,508
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(53 453)	265,427
გადახდილი პროცენტები	(419 965)	(191,250)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1 320 703)**	**(1,854,730)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილება ძირითადი საშუალებებში	(60 910)	(2,169,274)
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	(10 761)	1,509
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(71 671)**	**(2,167,765)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	2 438 590	3,232,959
სესხის აღება	-	22,393
სესხის გადახდა	(924 680)	(54,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**1 513 910**	**3,201,352**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	121 535	**(821,143)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	39 556	845,579
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	4 210	15,120
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**165 301**	**39,556**

ინდივიდუალურიფულადინაკადებისანგარიშება
2023წლის 31 დეკემბრითდასრულებულიწლისათვის
ლარში

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(2 325 740)	(6,352,133)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2 039 795	1,909,329
მოთხოვნების გაუფასურება	981	232,499
მარაგების გაუფასურება	19 395	14,218
ცვლილება ანარიცხებში	-	187,765
ფინანსური ხარჯები	378 860	222,857
ცვლილება ინვესტიციებში	(1 000)	(2,500)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	17 968	(15,120)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**130 259**	**(3,803,085)**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვლილება მარაგებში	131 875	1,534,844
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(811 576)	(372,202)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(417 520)	695,249
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(125 235)	270,431
გადახდილი პროცენტები	(404 204)	(191,250)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1 496 401)**	**(1,866,013)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილება ძირითადი საშუალებებში	(6 116)	(2,169,274)
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	(10 761)	1,509
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(16 877)**	**(2,167,765)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	2 438 590	3,232,959
სესხის აღება	328 641	22,393
სესხის გადახდა	(1 195 336)	(54,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**1 571 895**	**3,201,352**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	58 617	**(832,426)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	28 273	845,579
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	3 750	15,120
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**90 640**	**28,273**

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

1. ჯგუფისაღწერა

შპს მერკადო დაფუძნდა 2020 წლის 03 იანვარს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 400280469.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის VI მიკრო/რაიონი, კორპუსი N28, ბინა N53, ხოლო საქმიანობას ახორციელებს: თბილისი, ვეკუასქუჩა 3ა (ბაზარი ორბელიანზე).

შპს მერკადოს მესაკუთრეები არიან:

შპს კეპლერ ინვესტმენტს, 405186828	63,85%
ქეთევან ხვედელიძე, 01009003070	36,15%

შპს კეპლერ ინვესტმენტსის 100%-იანი მესაკუთრეა გიორგი ბაჩიაშვილი, 01008021797

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - ქეთევან ბოკუჩავა, 01017005563.

კომპანიის ძირითად ბიზნესს წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარით გაცემა (ბაზარი ორბელიანზე) და ამავე ფართში განთავსებული საკუთარი კვების, სარესტორნო და სავაჭრო ობიექტების მართვა.

2022 წლის ნოემბერშიშპს მერკადომ დააფუძნა 2 კომპანია 100%-იანი მონაწილეობით. ესენია:
1. შპს მერკადო ჰორეკა, ს.ნ.:405575943, რომლის საქმიანობის სფეროა სარესტორნო ბიზნესის მართვა.

2. შპს მერკადო ტერასა, ს.ნ.:405575961, რომლის საქმიანობის სფეროა სარესტორნო ბიზნესის მართვა.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი(GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2022	2.7020	2.8844
31-დეკ-2023	2.6894	2.9753

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსურიანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს -ის შესაბამისად წარდგენილი პირველიფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფია ხორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარეგეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი და მისი მოკლევადიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან აქტივებს. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მსჯელობა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

ჯგუფი (იგივეა კომპანიისთვის) აქტიურ საქმიანობას შეუდგა 2021 წლის დეკემბრის თვეში და 2021-2023 წლებში მიზნად ისახავდა ბაზარზე თავის დამკვიდრებას და ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. 2023 წლის ბოლოდან ჯგუფმა შეწყვიტა კვების ობიექტების ოპერირება, რამაც თავის მხრივა შეამცირა სახელფასო ხარჯი და გაზარდა საინვესტიციო-გასაქირავებელი ობიექტების ოდენობა, ჩატარდა მნიშვნელოვანი მარკეტინგული ღონისძიებები, სარემონტო სამუშაოების შედეგად გაიზარდა გასაქირავებელი ფართების ოდენობა, დაინერგა ქვემოიჯარეებთან პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ბრუნვების შესახებ ინფორმაციის ონლაინ რეჟიმში მიღებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საიჯარო ქირის ზუსტ განსაზღვრას. დებიტორული დაველიანების შემცირების მიზნით შეიცვალა ამოღების სისტემა, რამაც უზრუნველყო დებიტორული დავალიანების შემცირება. კომპანიაში გაჩნდა შემოსავლის მიღების ალტერნატიული წყაროები, როგორიცაა, სარეკლამო კუნძულების და ეკრანების შექმნა. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ჯგუფის მესაკუთრეები აფინანსებდნენ კომპანიის საოპერაციო ხარჯებს საკუთარ კაპიტალში შენატანების განხორციელების გზით და ასევე აპირებენ და გააჩნიათ შესაბამისი რესურსი განაგრძონ დაფინანსება ჯგუფის მომგებიანობის მომენტამდე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას საშუალებას აძლევენ მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის დამფუძნებლებსა და არასაკონტროლო წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. კომპანიის და ჯგუფის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია 10 წელი. გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სრულ შემოსავალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრულ შემოსავალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხომბს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება ჯგუფის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც ჯგუფის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
კეთილმოწყობა	9წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფი ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე)

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

შემოსავლის ძირითადი წყარო

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს „ბაზარი ორბელიანზე" არსებულიკომერციული ფართების გაქირავებიდან, ასევე კვების, სარესტორნო და სავაჭრო ობიექტებიდან.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდი ლიხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიანაქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებოკაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ ჯგუფის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა)ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში.

შესმერკადო

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაცის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნაინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისიგანცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფისნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა სალაროში	30 960	18,823
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133 889	20,676
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	452	57
სულ	**165 301**	**39,556**

კომპანიის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა სალაროში	77	16,826
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	90 111	11,390
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	452	57
სულ	**90 640**	**28,273**

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები (წმინდა)	768 428	479,865
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	142 357	82,009
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		1,043
სულ	**910 785**	**562,917**

კომპანიის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები (წმინდა)	1 285 172	515,583
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	124 058	82,009
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	1,043
სულ	**1 409 230**	**598,635**

ჯგუფის (იგივე კომპანიის) მოსალოდნელი საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებიდან წარმოდგენლია შემდეგნაირად:

2021 ნაშთი	218,094
აღდგენა	(106,977)
გაუფასურება	339,476
2022 ნაშთი	450,593
აღდგენა	(91 383)
გაუფასურება	981
2023 ნაშთი	**360 191**

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

ჯგუფის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
პროდუქტები და ინგრედიენტები სავაჭრო და სარესტორნო მიზნებისთვის	88 465	143,860
ალკოჰოლური სასმელები	142 977	256,943
ოფისის და ობიექტის მცირეფასიანი ინვენტარი და საგნები	240 689	26,558
სულ	**472 131**	**427,361**

კომპანიის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
პროდუქტები და ინგრედიენტები სავაჭრო და სარესტორნო მიზნებისთვის	75 679	142,654
ალკოჰოლური სასმელები	1 184	226,000
ოფისის და ობიექტის მცირეფასიანი ინვენტარი და საგნები	167 079	26,558
სულ	**243 942**	**395,212**

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1 139 441	1,143,301
გადასახდელი ხელფასები	102 273	65,592
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	281 087	226,702
პირობით ვალდებულებები	187,765	187,765
სულ	**1 522 989**	**1,623,360**

კომპანიის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	879 892	1,134,478
გადასახდელი ხელფასები	36 023	65,592
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	280 914	226,702
პირობით ვალდებულებები	187,765	187,765
სულ	**1 197 017**	**1,614,537**

8. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის (იგივე კომპანიის) საწესდებოკაპიტალის სტრუქტურა მოცემულია:

	31.12.2023	31.12.2022
შპს კეპლერ ინვესტმენტ	10 227 650	12,954,984
ქეთევან ხვედელიძე	5 790 596	624,672
	16 018 246	**13,579,656**

9. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები შედგება:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	სატ. საშუალებები	ოჯ. აღებული ქონების კეთ.	დაუმთავრებელი მშენებლობები	სულ
ნაშთი 31.12.2021	**3,360,364**	**141,093**	**215,298**	**16,285**	**8,787,097**	**5,143**	**12,525,280**
შემოსავლა	705,598	86,380	39,626	-	800,651	563,930	2,196,185
შიდა მოძრაობა					550,550	(550,550)	-
გასვლა	(12,280)	-	-	-	(16,346)		(28,626)
ნაშთი 31.12.2022	**4,053,682**	**227,473**	**254,924**	**16,285**	**10,121,952**	**18,523**	**14,692,839**
შემოსავლა	19 893	25 563	22 751	-	55 319	23 482	147 008
შიდა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	(120 454)	-	-	-	-	-	(120 454)
ნაშთი 31.12.2023	**3 953 121**	**253 036**	**277 675**	**16 285**	**10 177 271**	**42 005**	**14 719 393**
აკუმულირებული ცვეთა							
ნაშთი 31.12.2021	**344,378**	**11,435**	**12,608**	**3,309**	**165,744**	**-**	**537,474**
შემოსვლა	767,929	36,910	43,924	3,255	1,057,311	-	1,909,329
შიდა მოძრაობა							-
გასვლა	(1,715)	-	-	-	-	-	(1,715)
ნაშთი 31.12.2022	**1,110,592**	**48,345**	**56,532**	**6,564**	**1,223,055**	**-**	**2,445,088**
შემოსავლა	800 092	49 098	53 360	3 255	1 136 699	-	2 042 504
გასვლა	(33 589)						(33 589)
ნაშთი 31.12.2023	**1 877 095**	**97 443**	**109 892**	**9 819**	**2 359 754**	**-**	**4 454 003**
	-	-	-	-	-	-	
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	**2,943,090**	**179,128**	**198,392**	**9,721**	**8,898,897**	**18,523**	**12,247,751**
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	**2 076 026**	**155 593**	**167 783**	**6 466**	**7 817 517**	**42 005**	**10 265 390**

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	სატ. საშუალებები	ოჯ. აღებული ქონების კეთ.	დაუმთავრებელი მშენებლობები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 31.12.2021	**3,360,364**	**141,093**	**215,298**	**16,285**	**8,787,097**	**5,143**	**12,525,280**
შემოსავლა	705,598	86,380	39,626	-	800,651	563,930	2,196,185
შიდა მოძრაობა					550,550	(550,550)	-
გასვლა	(12,280)	-	-	-	(16,346)		(28,626)
ნაშთი 31.12.2022	**4,053,682**	**227,473**	**254,924**	**16,285**	**10,121,952**	**18,523**	**14,692,839**
შემოსავლა	16 353,0	11 537,0	8 306,0		55 319,0	700,0	92 215,0
შიდა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	(120 454)	-	-	-	-	-	(120 454)
ნაშთი 31.12.2023	**3 949 581**	**239 010**	**263 230**	**16 285**	**10 177 271**	**19 223**	**14 664 600**
აკუმულირებული ცვეთა							
ნაშთი 31.12.2021	**344,378**	**11,435**	**12,608**	**3,309**	**165,744**	**-**	**537,474**
შემოსავლა	767,929	36,910	43,924	3,255	1,057,311	-	1,909,329
გასვლა	(1,715)	-	-	-	-	-	(1,715)
ნაშთი 31.12.2022	**1,110,592**	**48,345**	**56,532**	**6,564**	**1,223,055**	**-**	**2,445,088**
შემოსავლა	799 640	46 973	52 462	3 255	1 136 699		2 039 029
გასვლა	(33 589)						(33 589)
ნაშთი 31.12.2023	**1 876 643**	**95 318**	**108 994**	**9 819**	**2 359 754**	**-**	**4 450 528**
წმინდა საბალანსო ღირებულება ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	**2,943,090**	**179,128**	**198,392**	**9,721**	**8,898,897**	**18,523**	**12,247,751**
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	**2 072 938**	**143 692**	**154 236**	**6 466**	**7 817 517**	**19 223**	**10 214 072**

10. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები შედგება:

	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში	7 200 820	8,039,900
მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში	874 500	960,100
სულ	**8 075 320**	**9,000,000**

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
31/12/2022	960,100	8,039,900	9,000,000
სესხის აღება	-	-	-
პროცენტის დარიცხვა	376 589	-	376 589
ძირის გადახდა	(924 680)	-	(924 680)
პროცენტის გადახდა	(376 589)	-	(376 589)
რეკლასიფიკაცია	839 080	(839 080)	-
31/12/2023	**874 500**	**7 200 820**	**8 075 320**

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
31/12/2021	85,607	8,914,393	9,000,000
სესხის აღება	-	54,000	54,000
პროცენტის დარიცხვა	222,857	-	222,857
ძირის გადახდა	(85,607)	-	(85,607)
პროცენტის გადახდა	(191,250)	-	(191,250)
რეკლასიფიკაცია	928,493	(928,493)	-
31/12/2022	**960,100**	**8,039,900**	**9,000,000**

მიღებული სესხები შედგება თიბისი ბანკის 2 სესხისგან (ლარში). სესხები თანადაფინანსებულია "აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში. სასესხო საპროცენტო განაკვეთი, თითოეულ სესხზე შეადგენს 15.5%, ხოლო დაფარვის ვადაა 2028 წელი. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებითა და ქეთევეან ხვედელიძის (36.15% მეწილის) საკუთრებაში არსებული ბინით.

კომპანიის მიღებული სესხები შედგება:

	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში	7 200 820	8,039,900
მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში	932 485	960,100
სულ	**8 133 305**	**9,000,000**

2023 წლის დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
31/12/2022	960,100	8,039,900	9,000,000
სესხის აღება	328 228	-	328 228
პროცენტის დარიცხვა	376 589	-	376 589
ძირის გადახდა	(1 194 923)	-	(1 194 923)
პროცენტის გადახდა	(376 589)	-	(376 589)
რეკლასიფიკაცია	839 080	(839 080)	-
31/12/2023	**932 485**	**7 200 820**	**8 133 305**

11. საგადასახადო ვალდებულება

ჯგუფის (იგივე კომპანიის) საგადასახადო ვალდებულებები წარმოადგენს საქართველოში მოქმედი გადასახადების ნეტო ჯამს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი დავალიანების გასტუმრება მოხდა 2024 წლის განმავლობაში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ჯგუფს საგადასახადო ბარათზე უფიქსირდება ზედმეტობა - 729,09 ლარი.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

ჯგუფის შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება:

	2023	2022
საიჯარო შემოსავლები	2 800 711	1,485,604
სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	6 275 899	3,661,890
სხვა საკუთარი ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი	999 213	1,751,595
მარკეტინგული და სხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი	-	199,531
სხვა შემოსავლები	962 827	733,525
სულ	**11 038 649**	**7,832,145**

კომპანიის შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება:

	2023	2022
საიჯარო შემოსავლები	3 388 797	1,485,604
სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1 521 239	3,661,890
სხვა საკუთარი ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი	1 088 639	1,742,901
მარკეტინგული და სხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი	84 094	199,531
სხვა შემოსავლები	675 956	769,243
სულ	**6 758 726**	**7,859,169**

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შედგება:

	2023	2022
გამოყენებული პროდუქცია	2 518 430	2,423,871
სხვა ხარჯები	36 852	19,841
სულ	**2 555 282**	**2,443,712**

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შედგება:

	2023	2022
გამოყენებული პროდუქცია	818 601	2,456,372
სხვა ხარჯები	936	19,841
სულ	**819 537**	**2,476,213**

14. მიწოდების ხარჯები

ჯგუფის მიწოდების ხარჯები შედგება:

	2023	2022
არაპირდაპირი ხელფასები	1 180 570	1,101,235
საიჯარო ქირა	1 176 720	1,276,745
ცვეთა და ამორტიზაცია	1 175 555	1,101,235
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	125 326	78,718
დასუფთავების ინვენტარის ხარიჯი	41 717	29,840
სარესტორნო მომსახურების დამხმარე მასალების ხარჯი	146 170	20,727
მენიუ და საბეჭდი მასალების ხარჯი	18 120	13,924
სარესტორნო ჭურჭლის ხარჯი	28 007	6,165
სხვა მიწოდების ხარჯები	84 035	670,069
სულ	**3 976 220**	**4,298,658**

კომპანიისმიწოდების ხარჯები შედგება:

	2023	2022
არაპირდაპირი ხელფასები	1 155 944	1,101,235
საიჯარო ქირა	1 176 720	1,276,745
ცვეთა და ამორტიზაცია	1 175 555	1,101,235
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	63 750	78,718
დასუფთავების ინვენტარის ხარიჯი	32 680	29,840
სარესტორნო მომსახურების დამხმარე მასალების ხარჯი	39 888	20,727
მენიუ და საბეჭდი მასალების ხარჯი	10 062	13,924
სარესტორნო ჭურჭლის ხარჯი	8 255	6,165
სხვა მიწოდების ხარჯები	14 728	668,685
სულ	**3 677 581**	**4,297,274**

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს:	2023	2022
შრომის ანაზღაურება	2 622 750	2,100,461
ცვეთა და ამორტიზაცია	867 715	809,602
ელექტროენერგიის გადასახადი	863 157	718,321
სარეკლამო და დიზაინერული მომსახურების ხარჯი	343 065	365,716
მიმდინარე რემონტის ხარჯები	44 699	238,783
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	981	232,499
დაცვის მომსახურების ხარჯი	200 084	190,314
ანარიცხები	-	187,765
კომუნიკაციის ხარჯები	358 742	167,275
სადღესასწაულო ღონისძიებებისხარჯები	194 427	124,827
ქონების გადასახადი	121 532	121,532
გაზის გადასახადი	84 339	107,314
წყლის გადასახადი	133 930	97,373
სარეკლამო ხარჯები	-	64,269
დასუფთავების ხარჯი	122 430	42,640
საკონსულტაციო ხარჯები	18 777	33,061
დაზღვევა	52 342	20,143
საწვავის ხარჯი	3 840	19,693
მარაგების ჩამოწერა	21 092	-
სხვა ხარჯები	703 078	1,598,112
სულ	**6 756 980**	**7,239,700**

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს:	2023	2022
შრომის ანაზღაურება	795 520	2,100,461
ცვეთა და ამორტიზაცია	864 240	809,602
ელექტროენერგიის გადასახადი	863 157	718,321
სარეკლამო და დიზაინერული მომსახურების ხარჯი	269 073	365,716
მიმდინარე რემონტის ხარჯები	41 102	238,783
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	981	232,499
დაცვის მომსახურების ხარჯი	180 266	190,314
ანარიცხები	-	187,765
კომუნიკაციის ხარჯები	157 466	167,275
სადღესასწაულო ღონისძიებების ხარჯები	137 547	124,827
ქონების გადასახადი	121 532	121,532
გაზის გადასახადი	84 339	107,314
წყლის გადასახადი	133 930	97,373
სარეკლამო ხარჯები	-	64,269
დასუფთავების ხარჯი	95 817	42,640
საკონსულტაციო ხარჯები	18 777	33,061
დაზღვევა	42 488	20,143
საწვავის ხარჯი	3 840	19,693
მარაგების ჩამოწერა	19 395	-
სხვა ხარჯები	219 223	1,595,387
სულ	**4 061 535**	**7,236,975**

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის თებერვალში კომპანიამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში „ბაზარი ორბელიანზე“ შენობის გამქირავებლისგან საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნა ემყარება საკონტრაქტო პირობას, რომლის მიხედვითაც ჯგუფს უფლება ჰქონდა მოეწვია კონტრაქტში დაფიქსირებული შემფასებელი კომპანიებიდან ერთ-ერთი და წინასწარ შეთანხმებული მეთოდოლოგიით განსესაზღვრა საიჯარო ქირის ცვლილების (შემცირების) საკითხი ბაზარზე მომხდარი ცვლილებებისშესაბამისად. ჯგუფმა 2022 წლის განმავლობაში მოიწვია შემფასებელი, გამქირავებელთან შეთანხმებით, მათ შორის შეფასებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შეთანხმებით.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე ჯგუფი თვლის, რომ ეკუთვნის საიჯარო ქირის შემცირება, თუმცა ვერ მოახერხა შეთანხმების მიღწევა გამქირავებელთან.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მე-14 შენიშვნაში წარმოდგენილი საიჯარო ქირა არ შეიცავს სადავო თანხას. ვინაიდან სასამართლო დავა არ წარმოადგენს გარანტირებულად საიჯარო ქირის შემცირების საფუძველს, ჯგუფმა შექმნა შესაბამისი ანარიცხი (შენიშვნა მე-7 და მე-15) , რათა სწორად წარადგინოს საქმიანობის შედეგები მსს ფასს მოთხოვნების შესაბამისად.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწამოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ბრუნვები და ნაშთები2023 და 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:	**2023**	**2022**
კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	1149475	35,718
სულ	**1149475**	**35,718**

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნები:	**31.12.2023**	**31.12.2022**
სავაჭრო მოთხოვნა და გაცემული სესხები კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	688383	42,148
სულ	**688383**	**42,148**

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023	**2022**
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	134881	69,661
სულ	**134881**	**69,661**

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს მერკადო ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან (31 დეკემბერი 2023 წელი) მისი გამოცემის თარიღამდე (25 სექტემბერი 2024 წელი) შპს „მერკადო ტერასა“-მ შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და 2024 წლის 5 იანვრის საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მერკადო“-ს მიერ ქვეიჯარით გაიცა შპს „მერკადო ტერასა“-ს მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული უძრავი ქონება.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს მერკადოს დირექტორმა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024წლის 25 სექტემბერს.

შპს მერკადო

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მმართველობის ანგარიშგება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერკადო“, (შემდგომში - საზოგადოება) დაფუძნებულია იურიდიული პირი შპს „კეპლერინვესტმენტს“ მიერ (ს/ნ 405186828) 2020 წლის 03იანვარს.

საზოგადოების მესაკუთრეები არიან შპს „კეპლერ ინვესტმენტს“, 63,85%-იანი წოლობრივი მონაწილეობით და ქეთევან ხვედელიძე პ.ნ. 01009003070, 36,15%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის VIმიკრო/რაიონი, კორპუსი N28, ბინა N53, ხოლო ფაქტიურად საქმიანობას ახორციელებს: თბილისი, ვეკუას ქუჩა 3ა მისამართზე.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია საიჯარო ფართების გაქირავება, ასევე კვებისა და სარესტორნე ობიექტებით მომსახურება ბაზრის ტერიტორიაზე.

შპს „მერკადო“ აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 400280469.

წესდების მიხედვით საზოგადოების დირექტორი არის ფიზიკური პირი ქეთევან ბოკუჩავა (პირადი ნომერი 01017005563).

საზოგადოება მონაწილეობს შემდგომ სხვა საზოგადოებებში:

- შპს „მერკადო ჰორეკა“ (ს/კ 405575943) - წილი 100%
- შპს „მერკადო ტერასა“ (ს/კ 405575961) - წილი 100%

შვილობილი კომპანიების საქმიანობის მიმართულებას წარმოადგენს „ბაზარი ორბელიანზე“ მდებარე სარესტორნო და კვების ობიექტების მართვა-ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საზოგადოების მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მესაკუთრეები შპს „კეპლერ ინვესტმენტს“ წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ბოლქვაძის სახით და ქეთევან ხვედელიძე წარმოდგენილი პირადად.სამეთვალყურეო საბჭოში გადაწყვეტილებების მიღება ხდება კონსესუსის გზით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერკადო“, (შემდგომში - საზოგადოება) დაფუძნებულია იურიდიული პირი შპს „კეპლერ ინვესტმენტს“ მიერ (ს/ნ 405186828) 2020 წლის 03 იანვარს.

საზოგადოების მესაკუთრეები არიან შპს „კეპლერ ინვესტმენტს“, 63,85%-იანი წილობრივი მონაწილეობით და ქეთევან ხვედელიძე პ.ნ. 01009003070, 36,15%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის VI მიკრო/რაიონი, კორპუსი N28, ბინა N53, ხოლო ფაქტიურად საქმიანობას ახორციელებს: თბილისი, ვეკუას ქუჩა 3ა მისამართზე.

საზოგადოების წინაშე არსებული ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების გატარება და

მმართველობის ანგარიშგება

მონიტორინგი. რისკების იდენტიფიცრებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორით გამოწვეული.

საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლის გაუარესებაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და თავის მხრივ, კომპანიის საქმიანობაზე.

ოპერაციული რისკები

ოპერაციების ზრდა ასევე არის დაკავშირებული კომერციულ რისკებთან, რაც თავისთავად გულისხმობს სწორ დაგეგმვას და ასევე კადრებისთვის ახალი მოვალეობების და მოთხოვნების დელეგირებას რათა შენარჩუნებული იქნეს მაღალი ხარისხი და მოხდეს დროის ოპტიმალური გამოყენება.

ფინანსური რისკები

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანაგრიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომელთაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია ძირითადად ახორციელებს საქონლის იმპორტს, შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

მმართველობის ანგარიშგება

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ცალდებულებების დროული დაფარვა.

რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანი 2023 წლის განმავლობაში იყო საიჯარო ფართების გაქირავება, ასევე კვებისა და სარესტორნე ობიექტებით მომსახურება ბაზრის ტერიტორიაზე.

საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალები და საქმიანობას ახორციელებს ვეკუას ქუჩა 3ა (ბაზარი ორბელიანზე) მისამართზე.

საზოგადოების შემოსავლები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საიჯარო შემოსავლები - 50%
- სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი - 23%
- სხვა საკუთარი ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი - 16%
- მარკეტინგული და სხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი - 1%
- სხვა შემოსავლები - 10%

შპს „მერკადო“ განვითარების გეგმები

საზოგადოება აქტიურ საქმიანობას შეუდგა 2022 წელს და 2022-2023 წლებში აქტიურად აკვირდებოდა როგორც საიჯარო მიმართულების ბიზნესის განვითარებას, ასევე ჰორეკა მიმართულებას. ამ ორი წლის განმავლობაში მიღებულისაქმიანობის შედეგების ანალიზისსაფუძველზე საზოგადოებამ გადაწყვიტა მომგებიან მიმართულებაზე აქცენტის გაკეთება და პრობლემური მიმართულებების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად მან 2023 წლის განმავლობაში ჰორეკა მიმართულება თანდათანობით დახურა და 2024 წლიდან სრულად საიჯარო ბიზნესში გადაერთო. საზოგადოების მომავალი გეგმები სრულად დაკავშირებულია ბაზარზე ცნობადობის ამაღლებასთან და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის მომგებიანად დასრულებასთან, რისთვისაც საზოგადოება აქტიურ სარეკლამო და მარკეტინგულ ღონისძიებებსახორციელებს.

საზოგადოება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში არ გეგმავს ახალი ფილიალების გახსნას ან არსებული ფართის გაფართოებას.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „მერკადო“

ქეთევან ბოკუჩავა, დირექტორი

საიდენტიფიკაციო კოდი 400280469

25.09.2024

ქეთევან ჭანკვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

25.09.2024

მმართველობის ანგარიშგება

შპს „მერკადო“

ქეთევან ბოკუჩავა, დირექტორი

საიდენტიფიკაციო კოდი 400280469

25.09.2024

ქეთევან ჭანკვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

25.09.2024